ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032431231-03
თარიღი: 07.11.2024 12:54
ვადა: 09.12.2024

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01243121126 განცხადების თარიღი: 07.11.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032431231-03
07.11.2024 : 12:54
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01243121126**
თარიღი: **07/11/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 81 57

**განკარგულება - N 24.1839.2059**
**6 / ნოემბერი / 2024 წ.**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ა" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

პროექტი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება**
**2024 წლის _____**
**ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 10/08/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017014) და დადგენილების:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ";

**ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი".;

**გ) პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის" (დანართი) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის"(კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი";

**დ) პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის" (დანართი):**

**დ. ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი" (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების (შემდგომში-მომსახურება) დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.";

**დ. ბ) 3[1] მუხლის მე-4 პუნქტის:**

**დ. ბ. ა) „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ერთ სივრცეში ფუნქციონირებადი საცურაო აუზი ან/და ფიტნესდარბაზი აღჭურვილი დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობით;";

**დ. ბ. ბ) „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) საცურაო აუზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს მაშველი ან ინსტრუქტორი და სერტიფიცირებული ექიმი;

დ) ერთდროულად არანაკლებ 20 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი საცურაო აუზი (სიგრძე არანაკლებ - 15 მ, სიგანე არანაკლებ - 10 მ, სიღრმე არანაკლებ - 1,20 მ) ან/და ერთდროულად არანაკლებ 15 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი ფიტნესდარბაზი (სავარჯიშო სივრცე არანაკლებ 150 კვ. მ).";

**დ. გ) 3[1] მუხლს „გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$" ქვეპუნქტი:**

„$გ^1$) ფიტნესდარბაზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს ფიტნესინსტრუქტორი;";

**დ. ე) 3[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**გ.ვ) 3[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) საცურაო აუზის შემთხვევაში მაშველის ან ინსტრუქტორის, ფიტნესდარბაზის შემთხვევაში ფიტნესინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საცურაო აუზის ან/და ფიტნესდარბაზის და საშხაპეების, სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა.".

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** — **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

პროექტი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება**
**2024 წლის ______**
**ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 10/08/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017014) და დადგენილების:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;

**ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“.;

**გ) პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის“ (დანართი) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“(კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“;

**დ) პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის“ (დანართი):**

**დ. ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების (შემდგომში-მომსახურება) დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.“;

**დ. ბ) 3[1] მუხლის მე-4 პუნქტის:**

**დ. ბ. ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ერთ სივრცეში ფუნქციონირებადი საცურაო აუზი ან/და ფიტნესდარბაზი აღჭურვილი დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობით;“;

**დ. ბ. ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) საცურაო აუზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს მაშველი ან ინსტრუქტორი და სერტიფიცირებული ექიმი;

დ) ერთდროულად არანაკლებ 20 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი საცურაო აუზი (სიგრძე არანაკლებ - 15 მ, სიგანე არანაკლებ - 10 მ, სიღრმე არანაკლებ - 1,20 მ) ან/და ერთდროულად არანაკლებ 15 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი ფიტნესდარბაზი (სავარჯიშო სივრცე არანაკლებ 150 კვ. მ).“;

**დ. გ) 3[1] მუხლს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:**

„გ[1]) ფიტნესდარბაზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს ფიტნესინსტრუქტორი;“;

**დ. ე) 3[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**გ.ვ) 3[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) საცურაო აუზის შემთხვევაში მაშველის ან ინსტრუქტორის, ფიტნესდარბაზის შემთხვევაში ფიტნესინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საცურაო აუზის ან/და ფიტნესდარბაზის და საშხაპეების, სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის
განმარტებითი ბარათი

**ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილების მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას - ერთ სივრცეში ჰქონდეს ფუნქციონირებადი საცურაო აუზი და ფიტნესდარბაზი, რაც გამორიცხავს მხოლოდ ფიტნესდარბაზის ან საცურაო აუზის მფლობელთა მომსახურების მიმწოდებლად ჩართვის შესაძლებლობას.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით, ქვეპროგრამაში ჩართული სუბიეტები ვერ უზრუნველყოფენ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, შესაბამისად ბენეფიციართა დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით. მომსახურების მიმწოდებლად ჩართვისთვის მხოლოდ ერთი ობიექტის (საცურაო აუზი ან ფიტნესდარბაზი) ქონის მოთხოვნის დამატება უზრუნველყოფს მიმწოდებელთა და ბენეფიციართა რაოდენობის ზრდას.

**ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:**

ცვლილება ეხება მომსახურების მიმწოდებლად ქვეპროგრამაში „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ჩართვის მსურველი სუბიეტების მიერ დასაკმაყოფილებელ სავალდებულო მოთხოვნას - საცურაო აუზის და ფიტნესდარბაზის ერთ სივცეში ქონას. ცვლილებით აღნიშნული პირობა აღარ იქნება სრულად კუმულატიური, დაემატება ალტერნატიული ნაწილი, რაც სპორტულ დაწესებულებებს საშუალებას მისცემს ერთ-ერთი ობიექტის - ფუნქციონირებადი ფიტნესდარბაზის ან საცურაო აუზის ფლობის შემთხვევაში ქვეპროგრამაში ჩაერთოს მომსახურების მიმწოდებლად. ცვლილების მიზანია, მომსახურების მიმწოდებელი სპორტული დაწესებულებების და მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე, მათთვის მომსახურების მიღების არეალის გაფართოება.

**ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 10/08/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017014) შედის ცვლილება და დადგენილების:

ა) სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების

მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი.“;

გ) პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის“ (დანართი):

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“(კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“;

გ.ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების (შემდგომში-მომსახურება) დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.“;

გ.გ) $3^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა) ერთ სივრცეში ფუნქციონირებადი საცურაო აუზი ან/და ფიტნესდარბაზი აღჭურვილი დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობით;“;

„გ) საცურაო აუზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს მაშველი ან ინსტრუქტორი და სერტიფიცირებული ექიმი;

„დ) ერთდროულად არანაკლებ 20 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი საცურაო აუზი (სიგრძე არანაკლებ - 15 მ, სიგანე არანაკლებ - 10 მ, სიღრმე არანაკლებ - 1,20 მ) ან/და ერთდროულად არანაკლებ 15 მოსარგებლის მომსახურებაზე გათვლილი ფიტნესდარბაზი (სავარჯიშო სივრცე არანაკლებ 150 კვ. მ).“;

გ.დ) $3^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) ფიტნესდარბაზის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს ფიტნესინსტრუქტორი;“;

გ.ე) $3^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ვ) $3^1$ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) საცურაო აუზის შემთხვევაში მაშველის ან ინსტრუქტორის, ფიტნესდარბაზის შემთხვევაში ფიტნესინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საცურაო აუზის ან/და ფიტნესდარბაზის და საშხაპეების, სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა.“.

წარმოდგენილი ცვლილებებით, ქვეპროგრამაში „სპორტი უფროსი თაობისთვის“ მომსახურების მიმწოდებლად ჩართვის პირობაში - საცურაო აუზის და ფიტნესდარბაზის არსებობა, „და“ კავშირი იცვლება „ან/და“ კავშირით, რაც ცალკეულად საცურაო აუზის ან

ფიტნესდარბაზის მფლობელ სუბიექტებს ქვეპროგრამაში მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

**ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**

დადგენილების ინიციატორის მოსაზრებით პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი (ავტორები):**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.